

შპს „ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯია“

2018 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს KPMG Georgia

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, 4 თავისუფლების მოედანი

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯიას“ მფლობელებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „კომპანიის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაა დეკლარირებული იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.



შპს ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯია
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე უფლებამოსილ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
21 ოქტომბერი, 2019 წელი.



შპს ვილპელმსენ შიფს სერვის ჯორჯია
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე უფლებამოსილ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG-Georgia“
თბილისი, საქართველო
21 ოქტომბერი, 2019 წელი.



ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		36,020	39,861
არამატერიალური აქტივები		1,006	1,006
სულ გრძელვადიანი აქტივები		37,026	40,867
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		6,390	8,166
სავაჭრო მოთხოვნები	11(ბ)(ii)	1,099,291	934,386
გადახდილი ავანსები		162,205	49,799
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	654,778	140,296
სულ მიმდინარე აქტივები		1,922,664	1,132,647
სულ აქტივები		1,959,690	1,173,514
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	7,000	7,000
გაუნაწილებელი მოგება		1,476,832	183,371
სულ კაპიტალი		1,483,832	190,371
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	10	-	1,555
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		241,954	474,592
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		233,904	506,996
მიმდინარე ვალდებულებები		475,858	983,143
სულ ვალდებულებები		475,858	983,143
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,959,690	1,173,514

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. გადასვლის შერჩეული მეთოდის შედეგად, შესაძარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. (გთხოვთ იხილოთ შენიშვნა 5).

შპს ვილპელმსენ შიფს სერვის ჯორჯია
2018 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	6	18,511,680	20,205,879
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(16,340,623)	(19,091,517)
მთლიანი მოგება		2,171,057	1,114,362
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(865,242)	(919,420)
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე	11(ბ)(ii)	(129,996)	(1,534)
საოპერაციო მოგება		1,175,819	193,408
ფინანსური შემოსავალი		89,457	18,466
ფინანსური ხარჯი		(47,810)	(52,618)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)		41,647	(34,152)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		76,291	13,261
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(296)	(25,838)
მოგება დაბეგვრამდე		1,293,461	146,679
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		1,293,461	146,679

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. გადასვლის შერჩეული მეთოდის შედეგად, შესაძარის ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (გთხოვთ იხილოთ შენიშვნა 5).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 21 ოქტომბერს და მისი სახელით ხელმოწერილია:

გენერალური მენეჯერი
 იოსებ გორგილაძე

ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი
 ლალი ნადარაია

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10 - 41 გვერდებზე.

შპს ვილჰელმსენ შიფს სერვისი ჯორჯია
2018 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	6	18,511,680	20,205,879
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(16,340,623)	(19,091,517)
მთლიანი მოგება		2,171,057	1,114,362
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(865,242)	(919,420)
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე	11(ბ)(ii)	(129,996)	(1,534)
საოპერაციო მოგება		1,175,819	193,408
ფინანსური შემოსავალი		89,457	18,466
ფინანსური ხარჯი		(47,810)	(52,618)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)		41,647	(34,152)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		76,291	13,261
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(296)	(25,838)
მოგება დაბეგვრამდე		1,293,461	146,679
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		1,293,461	146,679

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. გადასვლის შერჩეული მეთოდის შედეგად, შესაძარის ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (გთხოვთ იხილოთ შენიშვნა 5).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 21 ოქტომბერს და მისი სახელით ხელმოწერილია:

გენერალური მენეჯერი
იოსებ გორგილაძე



(Handwritten signature)

ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი
ლალი ნადარაია

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10 - 41 გვერდებზე.

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	7,000	36,692	43,692
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი	-	146,679	146,679
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	7,000	183,371	190,371
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	7,000	183,371	190,371
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი	-	1,293,461	1,293,461
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	7,000	1,476,832	1,483,832

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. გადასვლის შერჩეული მეთოდის შედეგად, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (გთხოვთ იხილოთ შენიშვნა 5).

ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		1,293,461	146,679
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		13,117	16,043
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/ზარალი			
რეალიზაციიდან, წმინდა		6,035	-
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე		129,996	1,534
წმინდა ფინანსური (შემოსავალი)/ზარჯი		(41,647)	34,152
		1,400,962	198,408
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგები		1,776	3,357
სავაჭრო მოთხოვნები		(236,916)	(321,538)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(268,253)	290,736
გადახდილი ავანსები		(112,406)	196,129
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		(273,092)	277,825
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		512,071	644,917
გადახდილი პროცენტი		(136,558)	(29,546)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		375,513	615,371
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		30,944	18,176
ძირითადი საშუალებების შეძენა		(14,811)	(11,654)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		16,133	6,522
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხები და კრედიტებიდან მიღებული შემოსულობები		4,343,280	580,000
სესხების და კრედიტების დაფარვა		(4,221,172)	(1,080,958)
ფინანსურ საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები / (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები)		122,108	(500,958)
წმინდა მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		513,754	120,935
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		140,296	122,548
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		728	(103,187)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	8	654,778	140,296

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. გადასვლის პერჩეული მეთოდის შედეგად, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (გთხოვთ იხილოთ შენიშვნა 5).

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10 - 41 გვერდებზე.

შენიშვნა

გვერდი

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	12
4. შეფასებების და მსჯელობების გამოყენება	12
5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში	13
6. შემოსავალი	16
7. ადმინისტრაციული ხარჯები	19
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19
9. კაპიტალი და კაპიტალის მართვა	20
10. სესხები და კრედიტები	21
11. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	22
12. პირობითი ვალდებულებები	28
13. დაკავშირებული მხარეები	28
14. შეფასების საფუძველი	29
15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	29
16. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	41

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და მისი ოპერაციები

„ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯია“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც ეს განსაზღვრულია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ მიერ. კომპანია დაარსდა 2009 წლის 3 თებერვალს. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია 204564514.

კომპანიის ოფისის რეგისტრაციის მისამართია: თბილისი, ლებანიძის ქუჩა N17.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ადგილობრივი და საერთაშორისო კლიენტებისათვის ლოგისტიკური და გემების აგენტობის მომსახურების გაწევას. ლოგისტიკა მოიცავს შემოსავალს, რომელიც გამომუშავდება საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტირების მომსახურებებიდან. კომპანია საერთაშორისო-საზღვაო ინდუსტრიული ჯგუფის „ვილჰელმსენის“ ქვეშ ოპერირებს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ისევე როგორც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელები არიან შპს „ბარვილ ეიჯენსის ეი.ეს ნორვეგია“, (50%) და შპს „ინვეკო“ (50%). იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის წილები თანაბრად არის განაწილებული მფლობელ კომპანიებს შორის (50%-50%), შპს „ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯიას“ არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 13-ე შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

ეს არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, სადაც გამოყენებულია ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ და ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“.

ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში აღწერილია მე-5 შენიშვნაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც „კომპანიის“ სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ებთან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკასთან მიმართებაში გამოყენებულ ყველაზე კრიტიკული მსჯელობების, დაშვებების და შეფასებების შესახებ, რომელთაც არსებითი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შენიშვნა 11-ში - საკრედიტო რისკი.

ინფორმაცია იმ ვარაუდებისა და შეფასებასთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, განხილულია შენიშვნა 11(ა)-ში - საკრედიტო რისკი.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას.

კომპანიამ დანერგა კონტროლის სტრუქტურა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრებასთან დაკავშირებით. ფინანსურ და ადმინისტრაციულ მენეჯერს აქვთ საერთო პასუხისმგებლობა სამართლიანი ღირებულების შეფასების ზედამხედველობაზე, მათ შორის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულებისა, და ის პირდაპირ წარუდგენს ანგარიშს კომპანიის მფლობელებს.

ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი რეგულარულად განიხილავს მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს და საშემფასებლო ტექნიკის ცვლილებებს. თუ მესამე მხარის ისეთი ინფორმაცია, როგორიც არის ბაზრის შესადარისი ფასები, გამოიყენება სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი აფასებს მესამე მხარეებისგან მიღებულ მტკიცებულებებს დასკვნის მხარდასაჭერად იმის შესახებ, აკმაყოფილებენ თუ არა ამგვარი შეფასებები ფასს-ების მოთხოვნებს, მათ შორის იმ დონის მოთხოვნებს სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, რომელშიც ამგვარი შეფასებები უნდა იქნას კლასიფიცირებული.

მნიშვნელოვანი საშემფასებლო საკითხების შესახებ ანგარიში კომპანიის მფლობელებს წარედგინება.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, „კომპანია“ შემდგომი დაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.
- დონე 2: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

„კომპანია“ მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღიარებს, რა დროსაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია 11-ე შენიშვნაში - სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა.

5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

კომპანიამ ფასს 15 (იხ. (ა)) და ფასს 9 (იხ. (ბ)) თავდაპირველად 2018 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. რიგი სხვა ახალი სტანდარტებიც შევიდა ძალაში 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არ იქონიეს არსებითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის მიერ ამ სტანდარტების გამოყენებისას შერჩეული გადასვლის მეთოდებიდან გამომდინარე, შესაძარისი ინფორმაცია მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გადაანგარიშებული ახალი სტანდარტების მოთხოვნების ასახვის მიზნით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომელიც ცალკეა წარმოდგენილი (იხ. (ბ)).

(ა) ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრისთვის თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. მან ჩაანაცვლა ბასს 18 *შემოსავალი*, ბასს 11 *სამშენებლო ხელშეკრულებები* და ამასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებები. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მომხმარებელს გადაეცემა საკუთრების უფლება საქონელზე ან მომსახურებაზე. საკუთრების გადაცემის მომენტის დასადგენად - დროის გარკვეულ მომენტში თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში - სჭირდება განსჯა.

კომპანიამ დაიწყო ფასს 15-ის გამოყენება კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით (პრაქტიკული მიზანშეწონილობის გარეშე). მოცემული სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების გავლენა აღიარდება 2018 წლის 1 იანვარს. შესაბამისად, 2017 წელს წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული - ანუ, წარმოდგენილია, როგორც ზემოთ ნახსენებია, ბასს 18-ში, ბასს 11-ში და მსგავს ახსნა-განმარტებებში. დამატებით, ფასს 15-ის განმარტებითი მოთხოვნები არ არის ზოგადად გამოყენებული შესადარის ინფორმაციაში.

ფასს 15-ს არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე შემოსავლის წყაროებთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 6), მაშასადამე ფასს 15-ზე გადასვლას არ ჰქონია გაუნაწილებელ მოგებაზე გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

დამატებითი ინფორმაციისთვის კომპანიის შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ იხილეთ შენიშვნა 6(ბ).

(ბ) ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 აწესებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების, და ზოგიერთი არა-ფინანსური აქტივების შესყიდვა/გაყიდვის ხელშეკრულებების, აღიარების და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს *ფინანსური ინსტრუმენტები აღიარება და შეფასება*.

ფასს 9-ის გამოყენების შედეგად, კომპანიამ შესაბამისი კორექტირებები შეიტანა ბასს 1-ში *ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*. ეს კორექტირება მოითხოვს, რომ ფინანსური აქტივების გაუფასურება მოგება ან ზარალის და სხვა სრულ შემოსავლის უწყისში ასახული იყოს ცალკე კატეგორიად. შედეგად, კომპანიამ ბასს 39-ის მიხედვით აღიარებული გაუფასურების ზარალის რეკლასიფიკაცია 1,534 ათასი ლარის ოდენობით „ადმინისტრაციულ ხარჯებიდან“ „გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე“ კატეგორიაში მოახდინა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

დამატებით, კომპანია იყენებს შესაბამის კორექტირებებს ფასს 7 *ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები* -ზე, რომლებიც გამოიყენება 2018 წლის განმარტებით შენიშვნებში, მაგრამ არ არის ზოგადად გამოყენებული შესადარის ინფორმაციაზე.

ფასს 9-ს არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე სავაჭრო მოთხოვნებთან (იხ. შენიშვნა 11(ბ)(ii)) დაკავშირებით, მაშასადამე, ფასს 9-ზე გადასვლას არ ჰქონია გავლენა გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

კომპანიის გაუფასურებასთან დაკავშირებით გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკებზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 5(ბ)(ii).

(ი) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა

ფასს 9 მოიცავს სამ ძირითად კლასიფიკაციის კატეგორიას ფინანსური აქტივებისათვის: ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს 9-ს მიხედვით ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ძირითადად დაფუძნებულია იმ ბიზნეს მოდელზე რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივის სამართავად და მის სახელეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. ფასს 9 აუქმებს ბასს 39 -ს დროს გამოყენებულ კატეგორიებს როგორცაა ხანდაზმულობის ვადის მიხედვით, სესხები და მოთხოვნები და გასაყიდად ხელმისაწვდომი. ფასს 9-ს მიხედვით, ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლის საგანსაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს, სტანდარტის მიზნებისთვის არ განცალკევდება. ნაცვლად ამისა, კლასიფიკაციის მიზნებისათვის ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი როგორც ერთი მთლიანობა.

ფასს 9 ძირითადად ინარჩუნებს ბასს 39-ში არსებულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და აღრიცხვასთან მიმართებაში.

ფასს 9-ის გამოყენებას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებულ სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

ახსნა-განმარტებისთვის თუ როგორ აკლასიფიცირებს და აფასებს კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს, ასახავს ცვლილებებს და აღრიცხავს დაკავშირებულ შემოსულობასა და ზარალს ფასს 9-ის მიხედვით, იხილეთ შენიშვნა 11(ბ)(ii) და შენიშვნა 15(თ).

მოცემული ცხრილი იძლევა ახსნა-განმარტებას, კომპანიის ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების, საწყის სააღრიცხვო კატეგორიებზე ბასს 39-ს მიხედვით, და ახალ სააღრიცხვო კატეგორიებზე ფასს 9-ს მიხედვით, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფასს 9-ის გამოყენების გავლენა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უკავშირდება მხოლოდ ახალ გაუფასურების მოთხოვნებს.

ლარი	შენიშვნა	თავდაპირველი კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	ახალი კლასიფიკაცია ფასს 9-ს მიხედვით	საწყისი საბალანსო ღირებულება ბასს 39-ს მიხედვით	ახალი საბალანსო ღირებულება ფასს 9-ს მიხედვით
ფინანსური აქტივები:					
სავაჭრო მოთხოვნები	11(ბ)(ii)	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზირებული ღირებულება	934,386	934,386
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზირებული ღირებულება	140,296	140,296
სულ ფინანსური აქტივები				1,074,682	1,074,682

ლარი	შენიშვნა	თავდაპირველი კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	ახალი კლასიფიკაცია ფასს 9-ს მიხედვით	საწყისი საბალანსო ღირებულება ბასს 39-ს მიხედვით	ახალი საბალანსო ღირებულება ფასს 9-ს მიხედვით
ფინანსური ვალდებულებები:					
სესხები და კრედიტები	10	სხვა ფინანსური ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,555	1,555
სავაჭრო ვალდებულებები		სხვა ფინანსური ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	474,592	474,592
სულ ფინანსური ვალდებულებები				476,147	476,147

სავაჭრო მოთხოვნები რომლებიც ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირებული იყო, როგორც სესხები და მოთხოვნები, ახლა კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ს „გაწეული ზარალის“ მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (მსზ) მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ვრცელდება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით შეფასებულ სახელშეკრულებო აქტივებზე და ვალის ინვესტიციებზე, მაგრამ არა ინვესტიციებზე კაპიტალის ინსტრუმენტებში. ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალი აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ის გამოყენებისას - იხილეთ შენიშვნა 15(თ).

ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის მიზნებისათვის აქტივების გაუფასურების ზარალი მოსალოდნელია გაიზარდოს და გახდეს უფრო არასტაბილური. კომპანიამ დაადგინა, რომ ფასს 9-ს გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ იწვევს გაუფასურების რეზერვის ზრდას.

დამატებითი ინფორმაცია თუ როგორ აფასებს კომპანია გაუფასურების რეზერვს აღწერილია შენიშვნაში 11(ბ)(ii) და შენიშვნაში 15(თ).

6. შემოსავალი

ფასს 15-ის თავდაპირველი გამოყენების გავლენა კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავალზე აღწერილია 5(ა) შენიშვნაში. ფასს 15-ზე გადასვლის მეთოდის საფუძველზე შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული ახალი მოთხოვნების ასახვის მიზნით.

(ა) შემოსავლის წყაროები

ლარი	2018	2017
კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი	18,511,680	20,205,879
	18,511,680	20,205,879

(ბ) კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლები

ცხრილში მოცემულია საქართველოში კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა ძირითადი მომსახურების მიმართულებების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით.

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ლარი	2018	2017
ძირითადი მომსახურების მიმართულებები		
ტვირთის გადაზიდვა	12,345,685	16,759,471
სატერმინალო მომსახურება*	2,954,564	87,188
ეკიპაჟის მომსახურება	2,823,568	3,023,764
გემების/ლაინერების მომსახურება	387,863	335,456
	18,511,680	20,205,879
შემოსავლის აღიარების ვადები		
დროის მანძილზე გადაცემული საქონელი და მომსახურება	18,511,680	20,205,879
შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	18,511,680	20,205,879

*2018 წელს სატერმინალო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვნად აღემატება 2017 წელს იმავე მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს. ზემოაღნიშნული გამოწვეულია 2018 წელს ახალ კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

(გ) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი აღიარდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობის მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს კლიენტს უფლებებს საქონელზე ან მომსახურებაზე.

მოცემული ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხარისხის და დროულობის შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების ჩათვლით:

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხარისხი და დროულობა, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის მიხედვით (მაღაშია 2018 წლის 1 იანვრიდან)	შემოსავლის აღიარება ბასს 18-ის მიხედვით (მაღაშია 2018 წლის 1 იანვრამდე)
ტვირთის გადაზიდვა	შემოსავალი ტვირთის გადამისამართების საქმიანობიდან წარმოიშობა კორპორაციებსა და მომხმარებლებს შორის ტვირთის ერთი ადგილმდებარეობიდან მეორეზე გადაზიდვის მიზნით სხვადასხვა მომსახურების პროვაიდერებთან მოლაპარაკებების წარმოების გზით. ნაკისრი ვალდებულება სრულდება დროის განმავლობაში, მომხმარებლებზე ტვირთის გადამისამართების მომსახურების გაწევასთან ერთად. ინვოისები გაიცემა ხელშეკრულების პირობების თანახმად და როგორც წესი, გადასახდელია 30 დღის განმავლობაში.	კომპანია, დროის განმავლობაში შემოსავლად აღიარებს გარიგების ფასის ოდენობას, რაც გამოიცხადებს მესამე მხარეების სახელით შეგროვებულ თანხებს. შემოსავალი არის გაყიდვების ღირებულება გაყიდვებთან დაკავშირებული ფასდაკლებების და შეღავათების, დამატებითი ღირებულების გადასახადის და სხვა გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.	შემოსავალი ტვირთის გადამისამართებიდან, ჩვეულებრივი საქმიანობის მიმდინარეობისას, ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით: დაბრუნებების, სავაჭრო ფასდაკლებებისა და შეღავათების გამოკლებით. შემოსავალი აღიარდებოდა, როდესაც არსებობდა მარწმუნებელი მტკიცებულება (როგორც წესი, საბოლოო ინვოისის სახით), მოსალოდნელი იყო ანაზღაურების ამოღება, დაკავშირებული ხარჯების სანდოდ შეფასება იყო შესაძლებელი, არ იყო ხელმძღვანელობის უწყვეტი ჩართულობა მომსახურებაში და შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება იყო შესაძლებელი.
სატერმინალო მომსახურება	სატერმინალო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი კონტეინერების პორტში გადმოტვირთვას უკავშირდება. მსგავსი ხელშეკრულებების ფარგლებში მომხმარებელი თანადროულად იღებს და მოიხმარს საწარმოს საქმიანობიდან მიღებულ სარგებელს, საწარმოს საქმიანობის მიმდინარეობასთან ერთად. ინვოისები გაიცემა ხელშეკრულების პირობების თანახმად და როგორც წესი, გადასახდელია 30 დღის განმავლობაში.	შემოსავალი მსგავსი მომსახურებიდან აღიარდება დროის განმავლობაში. თუ მომსახურება ძალიან მოკლე დროის პერიოდში სრულდება - შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც მომსახურება დასრულებულია.	შემოსავალი ტერმინალზე დამუშავების მომსახურებიდან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ფასდებოდა მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით: დაბრუნებების, სავაჭრო ფასდაკლებებისა და შეღავათების გამოკლებით. შემოსავალი აღიარდებოდა, როდესაც არსებობდა მარწმუნებელი მტკიცებულება (როგორც წესი საბოლოო ინვოისის სახით), მოსალოდნელი იყო ანაზღაურების ამოღება, დაკავშირებული ხარჯების სანდოდ შეფასება იყო შესაძლებელი, არ იყო ხელმძღვანელობის უწყვეტი ჩართულობა მომსახურებაში და შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება იყო შესაძლებელი.

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხარისხი და დროულობა, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის მიხედვით (ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან)	შემოსავლის აღიარება ბასს 18-ის მიხედვით (ძალაშია 2018 წლის 1 იანვრამდე)
ეკიპაჟის მომსახურება	მსგავსი ხელშეკრულებების ფარგლებში, საწარმო წინასწარ განსაზღვრული საფასურის სანაცვლოდ, მესამე მხარეებს მუშახელით უზრუნველყოფს. მსგავსი ხელშეკრულებების ფარგლებში, ნაკისრი ვალდებულება სრულდება დროის განმავლობაში მუშახელის მხრიდან კლიენტზე მომსახურების გაწევასთან ერთად. ამასთანავე, საწარმო ზემოაღნიშნულ კლიენტებისთვის ერთჯერადად აორგანიზებს საბაჟო მომსახურებას, რა შემთხვევაშიც კომპანია არ იღებს უფლებებს მომსახურებაზე მათი კლიენტებზე გადაცემამდე და მოცემული მომსახურების გაწევამდე, მამასადამე კომპანია მოქმედებს აგენტის სახით. ინვოისები გაიცემა ხელშეკრულების პირობების თანახმად და როგორც წესი, გადასახდელია 30 დღის განმავლობაში.	შემოსავალი წარმოადგენს გაყიდვების ღირებულებას გაყიდვებთან დაკავშირებული ფასდაკლებებისა და ფასდათმობების, დამატებითი ღირებულების გადასახადის და სხვა გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით. კომპანია, დროის განმავლობაში შემოსავლად გარიგების ფასის წმინდა ოდენობას და დაკავშირებულ ხარჯებს აღიარებს, რაც გამორიცხავს მესამე მხარეების სახელით შეგროვებულ ოდენობებს.	შემოსავალი ეკიპაჟის მომსახურებიდან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ფასდებოდა მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით: დაბრუნებების, სავაჭრო ფასდაკლებებისა და შეღავათების გამოკლებით. შემოსავალი აღიარდებოდა, როდესაც არსებობდა მარწმუნებელი მტკიცებულება (როგორც წესი საბოლოო ინვოისის სახით), მოსალოდნელი იყო ანაზღაურების ამოღება, დაკავშირებული ხარჯების სანდოდ შეფასება იყო შესაძლებელი, არ იყო ხელმძღვანელობის უწყვეტი ჩართულობა მომსახურებაში და შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება იყო შესაძლებელი.
გემების/ლაინერების მომსახურება	მსგავსი სახეობის ხელშეკრულების ფარგლებში კომპანია მომსახურებას გასწევს შემომსვლელი გემებისთვის ნავმისადგომის და ბუქსირების მომსახურებების, პორტის შუქურის მომსახურების უზრუნველყოფის, ეკიპაჟისთვის სამედიცინო დახმარების და მოკლე ვადაში სხვა მომსახურებების მიწოდების გზით. მსგავსი ხელშეკრულებების ფარგლებში მომხმარებელი თანადროულად იღებს და მოიხმარს საწარმოს საქმიანობიდან მიღებულ სარგებელს, საწარმოს საქმიანობის მიმდინარეობასთან ერთად. ინვოისები გაიცემა ხელშეკრულების პირობების თანახმად და როგორც წესი, გადასახდელია 30 დღის განმავლობაში.	შემოსავალი მსგავსი მომსახურებიდან აღიარდება დროის განმავლობაში. თუ მომსახურება ძალიან მოკლე დროის პერიოდში სრულდება - შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომსახურება იქნა გაწეული.	შემოსავალი გემის/ლაინერის სააგენტოს მომსახურებიდან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ფასდებოდა მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით: დაბრუნებების, სავაჭრო ფასდაკლებებისა და შეღავათების გამოკლებით. შემოსავალი აღიარდებოდა, როდესაც არსებობდა მარწმუნებელი მტკიცებულება (როგორც წესი საბოლოო ინვოისის სახით), მოსალოდნელი იყო ანაზღაურების ამოღება, დაკავშირებული ხარჯების სანდოდ შეფასება იყო შესაძლებელი, არ იყო ხელმძღვანელობის უწყვეტი ჩართულობა მომსახურებაში და შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება იყო შესაძლებელი.

კომპანია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, ეკიპაჟის მომსახურებასთან დაკავშირებულ კლიენტებს ცალმხრივ საბაჟო მომსახურებას სთავაზობს (საკომისიოს გარეშე).

ფასს 15-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობამ გაანალიზა და დაასკვნა, რომ კომპანია მოქმედებს როგორც აგენტი და არა როგორც პრინციპალი. ხელმძღვანელობამ აგენტის პრინციპალისგან განსხვავების მიზნით გაითვალისწინა შემდეგი ფაქტორები:

- კომპანია არ იღებს მომსახურებაზე უფლებების კონტროლს ზემოაღნიშნული მომსახურების კლიენტებზე გადაცემამდე;
- კომპანია ვერ ცვლის მომსახურების პროვაიდერების მიერ დაწესებულ ფასებს.

შესაბამისად, კლიენტებისგან მიღებული შემოსავალი 461 ათასი ლარის ოდენობით (2017: 708 ათასი ლარი) და შესაბამისი მომსახურების გაწევის ღირებულება 461 ათასი ლარის ოდენობით (2017: 708 ათასი ლარი) 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე.

7. ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2018	2017
ხელფასები და გასამრჯელოები	440,018	447,627
საიჯარო ხარჯი	108,065	107,158
პროფესიული მომსახურების ხარჯები	76,333	49,133
კომუნიკაციის ხარჯი	32,268	22,278
IT მომსახურების ხარჯი	30,488	30,218
კომუნალური ხარჯი	27,119	26,442
მივლინების ხარჯი	26,894	30,242
მარკეტინგული ხარჯი	25,787	19,546
დაზღვევის ხარჯი	20,650	31,745
ცვეთა და ამორტიზაცია	13,117	16,043
საწვავის ხარჯი	10,831	19,030
ბანკის საკომისიო	10,661	86,497
სხვა საოპერაციო ხარჯები	43,011	33,461
	865,242	919,420

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საბანკო ნაშთები	654,778	140,296
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	654,778	140,296

კომპანიის დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-11 შენიშვნაში.

9. კაპიტალი და კაპიტალის მართვა

(ა) საწესდებო კაპიტალი

ლარი	31 დეკემბერი 2018	%	31 დეკემბერი 2017	%
შპს ბარვილ ეიჯენსის ეი.ეს ნორვეგია	3,500	50	3,500	50
შპს ინვეკო	3,500	50	3,500	50
	7,000	100	7,000	100

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, კომპანიის ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გაუნაწილებელი მოგება, რომელიც მოიცავდა მიმდინარე წლის მოგებას შეადგენდა 1,476,832 ლარს (2017 წლის გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 183,371 ლარს).

(გ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეებს შორის ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლების, მოგებისა და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით, რომლებიც ძირითადად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება.

კომპანიის ვალდებულებები/კაპიტალის კოეფიციენტი 31 დეკემბერს იყო შემდეგი:

ლარი	2018	2017
სულ ვალდებულებები	475,858	983,143
(გამოკლებული): ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(654,778)	(140,296)
წმინდა ვალდებულებები	(178,920)	842,847
 სულ კაპიტალი	 1,483,832	 190,371
ვალდებულებები/კაპიტალის კოეფიციენტი 31 დეკემბერს	(0.1)	4.4

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვის მიდგომაში ცვლილება არ განხორციელებულა.

კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალის გარე მოთხოვნებს.

10. სესხები და კრედიტები

მოცემულ შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია კომპანიის პროცენტური სესხების და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზირებული ღირებულებით ფასდება. საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე კომპანიის დამოკიდებულების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-11 შენიშვნაში.

ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიმდინარე ვალდებულებები		
სესხები და კრედიტები	-	1,555

(ა) სესხების და კრედიტების ვადები და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

ლარი	31 დეკემბერი 2017				
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხები და კრედიტები დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	11%	2018	1,555	1,555

2018 წლის 29 ოქტომბერს კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება სს „თიბისი“ ბანკთან, სესხი შეადგენდა 900,000 აშშ დოლარს, რომელიც გაცემული იყო წლიურ 7%-ში, სესხის დაფარვის თარიღი ხელშეკრულების მიხედვით იყო 2018 წლის 29 დეკემბერი. კომპანიამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში სრულად დაფარა აღნიშნული სესხი.

კომპანიამ 2016 წელს, დაკავშირებულ მხარესთან, შპს „ბარვილ ჯორჯია“-სთან საკრედიტო ხელშეკრულება გააფორმა. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე გამსესხებელს აქვს უფლება მოითხოვოს მსესხებლისგან სესხის დაუყოვნებლივ გადახდა კომპანიისათვის სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაგზავნისთანავე. სწორედ ამიტომ კომპანია გადასახდელ სესხის ძირს და მასზე დაგროვილ საპროცენტო ხარჯს აღიარებს როგორც მიმდინარე ვალდებულებას.

კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან აღებული სესხის ძირი თანხა სრულად გადაიხადა 2017 წელს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუთვისებელი ლიმიტი შეადგენს ნულ ლარს (2017 წლის მდგომარეობით შეადგენდა 1,100,000 ლარს).

(ბ) ვალდებულებების მოძრაობის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან შეჯერება

ლარი	შემოსულობები			სესხის ძირის და საკურსო სხვაობით	
	1 იანვარი 2018	სესხებიდან და კრედიტებიდან	დარიცხული პროცენტი	დარიცხული პროცენტის გადახდა	გამოწვეული შემოსულობა/ (ზარალი)
სესხი დაკავშირებულ მხარესთან	1,555	350,000	25,770	(377,325)	-
თიბისი ბანკი	-	3,993,280	22,040	(3,980,405)	(34,915)
	1,555	4,343,280	47,810	(4,357,730)	(34,915)

ლარი	შემოსულობები			სესხის ძირის და საკურსო სხვაობით	
	1 იანვარი 2017	სესხებიდან და კრედიტებიდან	დარიცხული პროცენტი	დარიცხული პროცენტის გადახდა	გამოწვეული შემოსულობა/ (ზარალი)
სესხი დაკავშირებულ მხარესთან	502,614	580,000	29,445	(1,110,504)	1,555

11. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება შეფასების თარიღისთვის აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას რეალიზებადი ოდენობა.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება საშემფასებლო ტექნიკების გამოყენებით. საშემფასებლო ტექნიკების მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადახდებოდა ვალდებულების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული საშემფასებლო ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება გაანგარიშდება ძირითადის და საპროცენტო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც ანგარიშგების თარიღში პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ „კომპანიის“ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

(ბ) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, „კომპანია“ გასწევს შემდეგ რისკებს:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ 11 (ბ)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ 11 (ბ)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ 11 (ბ)(iv));

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე.

„კომპანიის“ რისკების მართვის პოლიტიკები შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს „კომპანიის“ წინაშე არსებული რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვარის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და „კომპანიის“ საქმიანობაში. „კომპანია“ თავისი ტრეინინგების, მენეჯერული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ცდილობს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული გარემო, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ის ძირითადად წარმოიშობა „კომპანიის“ კლიენტების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნებიდან. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას.

2018 წელს სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 129,996 ლარის ოდენობით აღიარებულია მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. (2017 წელს : 1,534 ლარი).

საკრედიტო რისკზე დამოკიდებულება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. მაქსიმალური დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

ლარი	შენიშვნა	საბალანსო ღირებულება	
		31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	11(ბ)(ii)	1,099,291	934,386
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	8	654,778	140,296
		1,754,069	1,074,682

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის მიერ საკრედიტო რისკზე დამოკიდებულება ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად საქართველოშია კონცენტრირებული.

ხელმძღვანელობამ მიიღო საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ყველა ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობა ინდივიდუალურად ფასდება სტანდარტული გადახდის და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. კომპანიის შეფასება მოიცავს გარე რეიტინგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რიგ შემთხვევაში საბანკო რეკვიზიტებს. კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 60% (2017 წელს: 70%) უკავშირდება მომსახურების სამი ძირითადი კლიენტისთვის მიწოდებას რომლებიც ოპერირებენ საქართველოში.

კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

კომპანია ადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში მოსალოდნელი ზარალის მისეულ შეფასებას. ამ რეზერვის მთავარი კომპონენტები მოიცავს ზარალის სპეციფიკურ კომპონენტს, რომელიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვან დამოკიდებულებებს და კოლექტიური ზარალის კომპონენტს უკავშირდება, რომელიც დგინდება მოთხოვნის ვადაგადაცილებიდან ჩამოწერამდე თანმიმდევრულ ეტაპებს შორის გადასვლის ალბათობაზე დაფუძნებული, პატარა ნაშთების დიდი ოდენობისთვის.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, კლიენტების და გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2018	2017
საცალო კლიენტები, ადგილობრივი	1,099,291	934,386

გაუფასურების ზარალი

სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობა ანგარიშგების თარიღისთვის იყო შემდეგი:

ლარი	ბრუტო 31 დეკემბერი 2018	გაუფასურება 31 დეკემბერი 2018	ნეტო 31 დეკემბერი 2018
არ არის ვადაგადაცილებული	573,828	(674)	573,153
1-90 დღემდე ვადაგადაცილება	220,698	(7,386)	213,312
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	423,064	(110,239)	312,825
	1,217,590	(118,299)	1,099,291

სარეზერვო ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ კომპანია არ მიიღებს დამაკმაყოფილებელ მტკიცებულებას იმისა, რომ შეუძლებელია მართებული თანხის ამოღება; ასეთ შემთხვევაში, თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში. კომპანიას სჯერა, რომ არ არის აუცილებელი დამატებითი გაუფასურების რეზერვი ვადაგადაცილებულ სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში, გარდა უკვე გათვალისწინებულისა.

შესადარისი ინფორმაცია ბასს 39-ის მიხედვით

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული და იმ სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობა რომლებიც ვადაგადაცილებულია მაგრამ არა გაუფასურებული, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

ლარი	ბრუტო 31 დეკემბერი 2017	გაუფასურება 31 დეკემბერი 2017	წმინდა 31 დეკემბერი 2017
არ არის ვადაგადაცილებული	296,100	-	296,100
1-30 დღემდე ვადაგადაცილება	456,251	-	456,251
30-90 დღემდე ვადაგადაცილება	129,553	-	129,553
90-180 დღემდე ვადაგადაცილება	41,960	-	41,960
80 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	10,522	-	10,522
	934,386	-	934,386

კომპანიის აზრით, არ არის საჭირო დამატებითი გაუფასურების რეზერვი ვადაგადაცილებულ სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში, გარდა უკვე გათვალისწინებულისა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება 2018 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით

ინდივიდუალური მიდგომა

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ნაშთებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს ფულადი ნაკადების მოდელს.

კომპანია ანაწილებს თითოეულ საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებას საწარმოს დეფოლტ სტატუსის მიხედვით და გამოცდილებიდან მიღებული საკრედიტო განსჯის გამოყენებით. მოდელის მიხედვით გაკეთებული ვარაუდები (შესაძლო ვარიანტების ალბათობა, თითოეული ვარიანტის რეალიზაციის ვადები, აღდგენის მოსალოდნელი ოდენობა და ა.შ.) ეფუძნება ექსპერტის შეფასებას და კომპანიის ბიზნეს გაგებას. 100%-იანი დეფოლტს დაქვემდებარება განხილულია თითოეული შემთხვევისთვის, რადგან თითოეული კონტრაქტის დეფოლტირებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საკრედიტო რისკზე დაქვემდებარების შესახებ და სავაჭრო მოთხოვნების ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ნაშთების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ:

31 დეკემბერი 2018

ლარი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	გაუფასურების ზარალის რეზერვი	წმინდა საბალანსო ღირებულება
მიმდინარე (ვადაგადაუცილებული)	621,995	(674)	621,321
0-90 დღემდე ვადაგადაცილება	29,864	(34)	29,830
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	406,557	(105,428)	301,129
	1,058,416	(106,136)	952,280

კომპანიამ 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გამოიყენა ვარიანტების ანალიზი. ფულადი ნაკადების პროგნოზებში გამოყენებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი ვარაუდები:

- დეფოლტირებულ კონტრაქტებზე გამოყენებული იქნა 100%-იანი, ხოლო არადეფოლტირებული კონტრაქტებისათვის 0.37%-იანი დეფოლტის ალბათობა და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანია მომხმარებელთა თითოეული ჯგუფისთვის ითვალისწინებს რამდენიმე შესაძლო ვარიანტს, საკრედიტო ზარალის დადგომის ვარიანტების ჩათვლით. მოცემული შეფასების დროს ის იყენებს კომპანიისთვის ხელმისაწვდომ ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას თითოეული მომხმარებლის მიმდინარე ფინანსურ პირობებთან დაკავშირებით.
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 10.9% და 7.8%-ების ოდენობით გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირებისას რათა გათვალისწინებული იყოს აშშ დოლარსა და ლარში დომინირებული ფულის ნაკადების ღირებულება დროში, შესაბამისად.

ანარიცხის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეკუთვნება მხოლოდ ერთ კონტრაქტს, რომლის მიმართ მოთხოვნა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

ჯგუფური მიდგომა

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე მომხმარებლების მიმართ, რომელიც მოიცავს მცირე ნაშთების დიდ რაოდენობას, შეფასდა კონსერვატიულად: 90 დღემდე ვადაგადაცილებულის კატეგორიას მიენიჭა დეფოლტის ალბათობის 4.4%-ი (აღებულ იქნა საქმიანობის ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი და შემცირებულ იქნა 5 საფეხურით, რადგან 6 საფეხურით შემცირება ნიშნავს, რომ დეფოლტი გარდაუვალია, რაც ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანიის შემთხვევაში არ ყოფილა დაფიქსირებული) და ზარალი დეფოლტისას 100%-ი და გამოყენებულ იქნა როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთები, ხოლო 90+ კატეგორიაზე - 100%-იანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იქნა გამოყენებული.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 159,175 ლარის ოდენობით, სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეადგენდა 22,845 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: ნული).

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში 2018 წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2018	2017
	<u>ინდივიდუალური</u>	<u>ინდივიდუალური</u>
ნაშთი 1 იანვარს ბასს 39-ის მიხედვით	-	-
კორექტირება ფასს 9-ის თავდაპირველ გამოყენებაზე	-	-
ნაშთი 1 იანვარს ფასს 9-ის მიხედვით	-	-
დარიცხვა წლის განმავლობაში	(129,996)	(1,534)
ფინანსური აქტივებიდან ჩამოწერილი ოდენობები	11,697	1,534
ნაშთი 31 დეკემბერს	<u>(118,299)</u>	<u>-</u>

2017 წლის შესადარისი ოდენობები ასახავს გაუფასურების ზარალის რეზერვს ბასს 39-ის მიხედვით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს 654,778 ლარის ოდენობით (2017 წელს: 140,296 ლარი), რომელიც წარმოადგენდა მის მაქსიმალურ საკრედიტო დამოკიდებულებას ამ აქტივებზე. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ბანკებსა და ფინანსური ინსტიტუტებში, რომლებსაც Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ შეფასებები BB- (გრძელვადიანი რეიტინგი) და B (მოკლევადიანი რეიტინგი). კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლების მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

გაუფასურება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე შეფასებულია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დამოკიდებულებების მოკლე ვადიანობას. კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენებისას, არ ყოფილა აღიარებული დამატებითი გაუფასურების რეზერვი. რეზერვის ოდენობა არ შეცვლილა 2018-ის განმავლობაში.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შემდგომში დაგეგმავს ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზს. კომპანიამ ჩამოაყალიბა ყოველწლიური ბიუჯეტების პროცესი კომპანიის მფლობელებთან. ბიუჯეტი განხილულია დირექტორთა საბჭოს მიერ და ამის შემდგომ მტკიცდება კომპანიის მფლობელების მიერ.

ლიკვიდურობის რისკზე დამოკიდებულება

ქვემოთ მოცემულია ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. თანხები მოცემულია ბრუტო და არადისკონტირებულ საფუძველზე და ისინი მოიცავს მოსალოდნელ პროცენტის გადახდებს:

31 დეკემბერი 2018

ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	12 თვეზე ნაკლები
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	146,891	146,891	-	146,891
	146,891	146,891	-	146,891

31 დეკემბერი 2017

ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	12 თვეზე ნაკლები
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	1,555	1,555	1,555	-
სავაჭრო ვალდებულებები	476,950	476,950	-	476,950
	478,505	478,505	1,555	476,950

მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში შესული ფულადი ნაკადები შესაძლოა მნიშვნელოვნად უფრო ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით წარმოიშვას.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვლილება, როგორც არის უცხოური ვალუტის განაკვეთები, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ფასები, იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკის დაქვემდებარების მართვა და კონტროლი, მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია იღებს ფინანსური ვალდებულებებს, საბაზრო რისკების მართვის მიზნით. „კომპანია“ არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებაში ან ზარალში არასტაბილურობის სამართავად.

სავალუტო რისკი

„კომპანია“ ექვემდებარება სავალუტო რისკს იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს შეუსაბამობა „კომპანიის“ კრედიტების ვალუტებსა და მის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული „ლარი“.

ტრანზაქციების უმეტესი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში.

სავალუტო რისკზე დამოკიდებულება

„კომპანიის“ დამოკიდებულება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2018	ევროში დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2018	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2017	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	799,517	128	727,277	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	116,778	6,312	71,214	17,046
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(118,347)	(259)	(384,088)	(259)
წმინდა დამოკიდებულება	797,948	6,181	414,403	16,787

წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა შემდეგი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		ანგარიშგების წარდგენის თარიღით არსებული კურსი	
	2018	2017	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აშშ დოლარში 1	2.5345	2.5086	2.5345	2.5922
ევროში 1	2.9913	2.8322	2.9913	3.1044

მგრძნობელობის ანალიზი

გონივრულ ფარგლებში ლარის კურსის შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ ნაჩვენებების შესაბამისად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იმოქმედებდა აშშ დოლარსა და ევროში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და იმოქმედებდა მოგებასა ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზში დაშვებაა გაკეთებული, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, მუდმივი დარჩება.

ლარი	მოგება ან ზარალი	
	ზრდა	კლება
31 დეკემბერი 2018		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(79,795)	79,795
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(618)	618
31 დეკემბერი 2017		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(41,440)	41,440
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(1,679)	1,679

12. პირობითი ვალდებულებები

(ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „კომპანიის“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

13. დაკავშირებული მხარეები

(ა) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის მფლობელია შპს „ბარვილ ეიჯენსის ეი.ეს ნორვეგია“ (50%) და შპს „ინვეკო“ (50%).

(ბ) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია პერსონალის ხარჯების კატეგორიაში

ლარი	2018	2017
ხელფასები და ბონუსები	206,386	189,882

(ii) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ლარი	ოპერაციების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი	
	2018	2017	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხები და კრედიტები:				
შვილობილი კომპანიები	350,000	580,000	-	1,555
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა:				
შვილობილი კომპანიები	3,462,326	521,731	26,227	64,475
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა				
შვილობილი კომპანიები	4,190	6,480	-	-

14. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ქვემოთ მოცემული ინდექსები შეესაბამება მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებს, რომელთა შესახებ ინფორმაციაც მოცემულია მითითებულ გვერდებზე.

(ა) შემოსავალი	29
(ბ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები	29
(გ) უცხოური ვალუტა	30
(დ) თანამშრომელთა სარგებელი	30
(ე) საწესდებო კაპიტალი	31
(ვ) მოგების გადასახადი	31
(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები	32
(თ) გაუფასურება	37

(ა) შემოსავალი

კომპანიამ ფასს 15 თავდაპირველად გამოიყენა 2018 წლის იანვრიდან. ინფორმაცია კომპანიის კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ სააღრიცხვო პოლიტიკებზე იხილეთ შენიშვნა 6(დ)-ში. ფასს 15 ის თავდაპირველი გამოყენების ზეგავლენა აღწერილია მე-5 შენიშვნაში.

(ბ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

„კომპანიის“ ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო ხარჯი;
- საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე;
- ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული კრედიტით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავალის გამოთვლა უზრუნველბა მთლიანი საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან/და ზარალი აღირიცხება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა მოგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(გ) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების დღეს კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში, ამ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად ერთეულებზე მოგება ან ზარალი უცხოურ ვალუტაში წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ ამორტიზირებულ ღირებულებას სამუშაო ვალუტაში, კორექტირებულს ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში არსებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, გადაყვანილს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები, რომელთა ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, კონვერტირდება ოპერაციის თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(დ) თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურების ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსების ან მოგების განაწილების გეგმების საფუძველზე, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და ამგვარი ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

(ე) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

(ვ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს.

(ი) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან გამომდინარე ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი შევიდა ძალაში 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო საერთაშორისო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია მიმდინარე გადახდილი გადასახადისთვის გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ამგვარი მოგება განაწილდება 2017 ან შემდგომ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის დღისა ან იმ პერიოდისა, რომლის დროსაც ხდება დივიდენდების გადახდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ განსაზღვრული ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებას და, შესაბამისად, არ წარმოიშვება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

საგადასახადო ზარალი დაგროვილი წინა პერიოდებში არ შეიძლება იყოს გამოყენებული მომავალი დასაბეგრი მოგების საპირწონედ.

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები

2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა.

კომპანია იყენებს ფასს 9-ს „ფინანსური ინსტრუმენტები“ ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და ზოგიერთი არა ფინანსური ერთეულების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების აღიარებასა და შეფასებისთვის.

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება როდესაც კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე ხდება. ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ღირებულებით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირ თანხაზე დაგროვილი დაუფარავი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ვალის ინვესტიცია შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირ თანხაზე დაგროვილი დაუფარავი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

თავდაპირველი აღიარებისას კაპიტალის ინვესტიციისთვის რომელიც არ არის სავაჭროდ ფლობილი, კომპანიას შეუძლია უპირობოდ აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა. ეს არჩევანი ხორციელდება თითოეული ინვესტიციის დონეზე.

ყველა ფინანსური აქტივი რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუძლია უპირობოდ აირჩიოს ფინანსური აქტივის (რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს მოთხოვნებს) ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასება, თუ ეს გაანულებს ან არსებითად შეამცირებს სხვაგვარად გამოწვეულ სააღრიცხვო შეუსაბამობას.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და არის კლასიფიცირებული ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიაში. მოცემული აქტივები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, უცხოური გაცვლითი კურსიდან შემოსულობა ან ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა საბანკო ნაშთებს 3 თვიანი ან ნაკლები ხანდაზმულობით შემენის დღიდან, რომლებიც ექვემდებარებოდა სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების არა არსებით რისკს.

(iii) ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებული ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგება ან ზარალში (გარდა კომპანიის საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილებისა, რომელიც აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში).

სხვა ფინანსური ვალდებულებები შესაბამისად აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან მოგება და ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყველა ფინანსურ ვალდებულებას აფასებს ამორტიზირებული ღირებულებით.

(iv) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივი ჩამოიწერება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- ფინანსური აქტივის პირობების ცვლილება რომელიც „SPPI“ კრიტერიუმთან შეუსაბამობას იწვევს (ანუ კონვერტაციის ფუნქციის გათვალისწინება).

თუ შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოგებისა ან ზარალის კორექტირებას მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა ჩამოწერილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის სრული საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში სებ-ს მიერ გაკეთებული საკვანძო განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან მოითხოვოს სესხის ძველ პირობებზე დატოვება ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებებიდან წარმოქნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვალის განმავლობაში.

(v) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, რომელშიც თითქმის ყველა რისკი და აქტივის ფლობის ანაზღაურება მოიაზრება, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

კომპანია დებს გარიგებებს რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს ვადა გასდის, უქმდება ან თავისუფლდება. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაცემის ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(vi) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება. კომპანიას ამჟამად გააჩნია ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება, თუ ეს უფლება არ არის პირობითი და დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და გამოყენებადი როგორც ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას ასევე დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან კომპანიის და ყველა სხვა კონტრაგენტის გაკოტრების შემთხვევაში.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

კომპანია აკლასიფიცირებდა თავის არა-წარმოებულ ფინანსურ აქტივებს როგორც სესხებს და მოთხოვნებს.

კომპანია აკლასიფიცირებდა არა-წარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

(vii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ თავდაპირველად ახდენს სესხებისა და მოთხოვნების აღიარებას მათი წარმოშობის დღეს. ყველა სხვა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება ვაჭრობის დღეს, როდესაც „კომპანია“ ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

„კომპანია“ წყვეტს მისი ფინანსური აქტივის აღიარებას, როცა ვადა გასდის სახელშეკრულებო უფლებებს აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე, ან თუ ის გადასცემს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ოპერაციაში, რომელშიც გადაეცემა არსებითად ყველა რისკი და ფინანსური აქტივის ფლობის ანაზღაურება. ნებისმიერი პროცენტი გადაცემულ ფინანსურ აქტივზე, რომელსაც ქმნის ან ინარჩუნებს „კომპანია“, აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულდება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

(viii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები – შეფასება

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფინანსური აქტივების კატეგორიას განეკუთვნებიან, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს: სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა საბანკო ნაშთებს 3 თვიანი ან ნაკლები ხანდაზმულობით შეძენის დღიდან, რომლებიც ექვემდებარებოდა სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების არა არსებით რისკს.

(ix) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებული იყო სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ეს ფინანსური ვალდებულებები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავდა სესხებს და კრედიტებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(თ) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის.

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

– სხვა ვალის უზრუნველყოფა და საბანკო ნაშთები რომლისთვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზარდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსურ აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია;

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისში კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია კრედიტით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- გამცემის ან მიმღების არსებითი ფინანსური სირთულები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურზაცია იმ პირობებით რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებელის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაციის გამოყენება; ან
- ფინანსური სირთულების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში წარდგენა

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების იმედი. ინდივიდუალური კლიენტების შემთხვევაში როდესაც ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია კომპანია იყენებს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკას, მსგავსი აქტივების ამოღების წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კორპორატიული კლიენტებისთვის კომპანია დამოუკიდებლად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის ჩამოწერილი თანხიდან არსებითი ოდენობის ამოღებას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

(ii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, მეკავშირე კომპანიაში ინვესტიციის პროცენტის ჩათვლით, შეფასდა თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის იმის განსასაზღვრად, არსებობდა თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი მიჩნეული იყო გაუფასურებულად თუ ობიექტური მტკიცებულება მიანიშნებდა იმაზე, რომ ზარალის შემთხვევა დამდგარია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ, და რომ ზარალის შემთხვევას ჰქონდა უარყოფითი გავლენა საიმედოდ შეფასებადი, აქტივის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავდა შემდეგს:

- მევალის ვადაგადაცილება ან დეფოლტი;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურიზაცია ისეთ პირობებზე, რომლებსაც კომპანია სხვაგვარად არ განიხილავდა;
- ნიშნები იმისა, რომ მოვალე ან ემიტენტი გაკოტრდება;
- მსესხებლების ან ემიტენტების გადახდის სტატუსის უარყოფითი ცვლილება კომპანიაში;
- ეკონომიკური გარემოებები რომლებიც უკავშირდება დეფოლტს;
- უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა, ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს შეფასებად კლებას მოსალოდნელ ფულად ნაკადებში ფინანსური აქტივების ჯგუფიდან.

დამატებით, მეკავშირე კომპანიაში ინვესტიციის არსებითი ან განგრძობითი სამართლიანი ღირებულების ვარდნა მის თვითღირებულებაზე დაბლა წარმოადგენდა გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანია ამ აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე. ყველა ინდივიდუალურად არსებითი აქტივი ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების დასადგენად. ის აქტივები, რომლებიც გაუფასურებულად არ მიიჩნევა, შემდგომ ჯგუფურად ფასდება გაუფასურებაზე, რომელიც გაწეულია, მაგრამ ჯერ არ არის იდენტიფიცირებული. აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არსებითი არ არის, ჯგუფურად ფასდება გაუფასურებაზე მსგავსი რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების დაჯგუფების გზით.

ჯგუფური გაუფასურების შეფასებისას კომპანია იყენებდა დეფოლტის ალბათობის, აღდგენის ვადების და გაწეული ზარალის ისტორიულ მაჩვენებლებს, კორექტირებულს ხელმძღვანელობის განსჯით იყო თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობები ისეთი, რომ ფაქტიური ზარალი ისტორიულ მაჩვენებლებზე მეტი ან ნაკლები ყოფილიყო.

გაუფასურების ზარალი ანგარიშდება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აისახება რეზერვის ანგარიშზე. თუ კომპანია მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის აღდგენის რეალური პერსპექტივა, შესაბამისი თანხები ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივზე პროცენტის აღიარება გაგრძელდება დისკონტირების დაბრუნების გზით. როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის კლებას და ამგვარი კლება შესაძლოა ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ წარმოშობილ მოვლენას, გაუფასურების ზარალის კლება აღდგება მოგებაში ან ზარალში.

(iii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოდინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან (CGU).

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები მიეკუთვნება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას, და შემდეგ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე წილობრივ საფუძველზე, და ამცირებს მას.

გუდვილის გაუფასურების ზარალი არ არის აღდგენადი. სხვა აქტივებთან მიმართებაში, წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

16. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და ცვლილებები სტანდარტებში, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. უფრო ადრეული მოხმარებაც ნებადართულია. თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა ეს ცვლილებები მიღებული ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

ფასს 16 ანაცვლებს არსებულ საიჯარო სახელმძღვანელოს, ბასს 17 იჯარების ჩათვლით, ფასიკ 4 - შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას, იმკ-15 - საოპერაციო იჯარა – სტიმულირება და იმკ-27 - გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.

სტანდარტი ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის 2019 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გამოყენება ნებადართულია. ხელმძღვანელობა აანალიზებს ახალი სტანდარტების პოტენციურ ზეგავლენას და მოელის, რომ მათ არ ექნებათ არსებითი გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე ან ვალდებულებების შესრულებაზე.